

ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა

ნაწილი 10: ზეწოლა ეთიკის ძირითადი პრინციპების დარღვევის მიზნით



თუ გავითვალისწინებთ მომსახურებების იმ ფართო სპექტრს, რომელსაც პროფესიონალი ბუღალტრები ასრულებენ, გამორიცხული არ არის, რომ შეიქმნას ისეთი სიტუაციები, როდესაც მათზე ზეწოლას ახდენს დამკვეთი, ხელმძღვანელი ან სხვა პირი (მაგალითად, მომწოდებელი, მომხმარებელი ან კრედიტორი) ეთიკის ძირითადი პრინციპების დარღვევის მიზნით. საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ვალდებულების სათანადოდ შესასრულებლად პროფესიონალმა ბუღალტრებმა არ უნდა დაუშვან სხვების მხრიდან ზეწოლა და არც თვითონ მოახდინონ ვინმეზე ზეწოლა, რომელიც გამოიწვევს ეთიკის ძირითადი პრინციპების დარღვევას.

როგორ ჩნდება ზეწოლა

ზეწოლა, რომელიც საფრთხეს უქმნის ძირითადი პრინციპების დაცვას, ხშირად განპირობებულია შანტაჟის საფრთხით. ზეწოლა ყოველთვის არ არის აშკარად გამოხატული, შეიძლება გამომდინარეობდეს მოლოდინებიდან და მიზნებიდან. სიტუაციები შეიძლება უკავშირდებოდეს შემდეგ გარემოებებს:

ინტერესთა კონფლიქტი - პროფესიონალ ბუღალტრის ძმა დაჟინებით სთხოვს, რომ მიწოდების ხელშეკრულება გაუფორმოს მის კომპანიას.

ინფორმაციის მომზადება და წარდგენა - პროფესიონალი ბუღალტერი ზეწოლას განიცდის, რათა გადიდებული მოგება აჩვენოს ანგარიშში ანალიტიკოსის მოლოდინების დაკმაყოფილების მიზნით.

საკმარისი კვალიფიკაცია - პროფესიონალი ბუღალტერი აუდიტის პარტნიორის მხრიდან ზეწოლას განიცდის, რათა დაეთანხმოს გარკვეული სამუშაოს შესრულებაზე, თუმცა, პროფესიონალი ბუღალტერი დარწმუნებული არ არის, რომ მას ამ დავალების შესასრულებლად შესაფერისი კვალიფიკაცია გააჩნია.

ანაზღაურება და წახალისება, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ანგარიშგებასა და გადაწყვეტილების მიღებასთან - კოლეგები ცდილობენ პროფესიონალი ბუღალტრის დარწმუნებას, რათა მან პერსონალის პრემიების გაზრდის მიზნით ანგარიშში აჩვენოს ორგანიზაციის შედეგების არასწორი/სასურველი მაჩვენებლები.

წახალისება, მათ შორის საჩუქრები და სტუმარმასპინძლობა - პროფესიონალ ბუღალტრის კოლეგები აქეზებენ, მომწოდებლისგან მიიღოს ძვირადღირებული საჩუქარი.

კანონმდებლობის დარღვევა (NOCLAR) - პროფესიონალ ბუღალტრის დამსაქმებელი მიუთითებს, რომ შეამციროს დასაბეგრი მოგება, გადასახადების თავიდან ასაცილებლად.

სპეციალური მოსაზრებები საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრებისთვის

საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულმა პროფესიონალმა ბუღალტრებმა, გარკვეულ გარემოებებში, უნდა დაიცვან კოდექსის მე-2 ნაწილის დებულებებიც. ძირითადი პრინციპების დარღვევის მიზნით ზეწოლა არის ერთ-ერთი მაგალითი, როდესაც კოდექსის მე-2 ნაწილი მისადაგება საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულ პროფესიონალ ბუღალტრებს ფირმაში თავიანთი როლის შესრულების კონტექსტში. მაგალითად, საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტერი შესაძლებელია ზეწოლას განიცდიდეს უფროსისგან იმის თაობაზე, რომ მან რეაგირება არ მოახდინოს დამკვეთის პასუხგაუცემელ კითხვებზე, რათა არ განაწყენდეს კარგი დამკვეთი (საფრთხე პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების პრინციპის მიმართ).

განვიხილოთ შემდეგი სცენარი: სადაზღვევო კომპანიაში, ერთ-ერთ განყოფილებაში, შიდა აუდიტორი ამოწმებს კომპანიის კონტროლის პროცედურებს. ეს განყოფილება პასუხისმგებელია ქვეყნის ისეთ გეოგრაფიულ რეგიონზე, რომელიც ახლახან განადგურდა ტროპიკული ქარიშხლებისა და წყალდიდობის შედეგად. შიდა აუდიტორი მიიჩნევს, რომ კონტროლის პროცედურები არც ისე მკაცრად იყო დაცული და ეჭვობს, რომ ბოლო კვარტლის შედეგები გადიდებულია. როდესაც შიდა აუდიტორმა გამოვლენილ ხარვეზთან დაკავშირებით განყოფილების უფროსს კითხვა დაუსვა, მან უპასუხა: „მე მთელ ყურადღებას იმას ვუთმობ, რომ იურისტებთან ერთად გამოვსახო რაიმე შემოქმედებითი ხერხები მოთხოვნილი კომპენსაციების შესამცირებლად. თუ გასურთ თქვენს სამუშაოს შენარჩუნება, გაერთიანდებით ჩვენს გუნდთან და ჩაერთვებით საერთო საქმეში“.

ახლა განვიხილოთ, როგორ რეაგირებს შიდა აუდიტორი წარმოქმნილ ზეწოლაზე

შიდა აუდიტორმა უნდა დაადგინოს, რომ პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების ძირითადი პრინციპების დაცვას საფრთხე ემუქრება განყოფილების უფროსისგან საყვედურის მიღების შიშის გამო.

- საფრთხეები შესაძლოა შეექმნას პატიოსნებისა და პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებსაც, თუ განყოფილების უფროსი შიდა აუდიტორს აიძულებს ისეთი „შემოქმედებით“ გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც უსამართლოდ ან არასათანადოდ აისახება სადაზღვევო პოლისის მფლობელებზე.
- გაურკვევლობამ და კრიზისებისთვის დამახასიათებელმა დროის უკიდურესმა უკმარისობამ შეიძლება გამოიწვიოს სიტუაციის გამწვავება და საფრთხეების წარმოქმნა.

ძირითადი პრინციპების დარღვევის მიზნით ზეწოლის დროს საფრთხეების დონის შეფასებისას, შიდა აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს:

- ზეწოლის განმარტებული პირის განზრახვა და ზეწოლის არსი და ხარისხი.
- რა გავლენას ახდენს კანონები, სხვა ნორმატიული აქტები და პროფესიული სტანდარტები კონკრეტულ გარემოებებზე.
- ორგანიზაციაში ეთიკაზე დაფუძნებული კულტურის დონე და ზრდის თუ არა ეს კულტურა ისეთი ზეწოლის ალბათობას, რომელიც საფრთხეს უქმნის ძირითადი პრინციპების დაცვას.
- როგორ რეაგირებს ზეწოლაზე ორგანიზაციის პოლიტიკა და პროცედურები.

ზემოაღნიშნულ სცენარში შიდა აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს ორგანიზაციის კულტურა, პოლიტიკა და პროცედურები, ასევე გააცნობიეროს შესაფერისი ნორმატიული დოკუმენტების გავლენა. თუ განყოფილების უფროსი ზედმეტად მწვავედ რეაგირებს მოკლევადიან კრიზისზე, სხვა პრევენციული და დამაბალანსებელი ზომების გატარებამ ან ხელმძღვანელობის ზედამხედველობამ შეიძლება ხელი შეუშალოს შიდა აუდიტორის მიერ გამოვლენილ პრობლემების წარმოქმნას და ამით შემცირდეს საფრთხის დონეც. მეორე მხრივ, საფრთხის დონე შეიძლება გაიზარდოს, თუ ორგანიზაციაში არ არსებობს რაიმე პრევენციული და დამაბალანსებელი ზომები ან „უმადლეისი ხელმძღვანელობის გენერალური პოზიცია“ ეთიკის საკითხებთან მიმართებით.


კოდექსი ხაზს უსვამს საკითხის განხილვისა და კონსულტაციების მნიშვნელობას ზეწოლის სიტუაციების შესაფასებლად და მათზე რეაგირებისთვის, მათ შორის:

- ხელმძღვანელობასა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან;
- ადამიანური რესურსების განყოფილების პერსონალთან;
- პროფესიულ ორგანიზაციასთან ან მარეგულირებელ ორგანოებთან, ან იურისტთან.

მაგალითად, შიდა აუდიტორს ამ სიტუაციის განხილვა დამატებით შეუძლია განყოფილების უფროსთან ან/და შიდა აუდიტის ხელმძღვანელთან. შეიძლება მიზანშეწონილი იყოს განხილვებში აუდიტის კომიტეტის ჩართვაც კი, ასევე კონსულტაციების გავლა იურისტთან.

ასეთი განხილვები პროფესიონალ ბუღალტერს შეიძლება დაეხმაროს სიტუაციის უკეთ მოგვარებაში – სავარაუდოდ, დამცავ ზომად შეიძლება გამოდგეს ზედამხედველობის გაძლიერება. თუ ვერ ხერხდება ზეწოლის საფრთხის შემსუბუქება, საფრთხის აღსაკვეთად შეიძლება საჭირო გახდეს ხელმძღვანელობის მიერ შიდა აუდიტორის სხვა განყოფილებაში გადაყვანა.

თუ პროფესიონალი ბუღალტერი ზეწოლას განიცდის ეთიკის ძირითადი პრინციპების დარღვევის მიზნით, უკეთესი იქნება, რომ მან დოკუმენტურად ასახოს:



- ფაქტები
- რა საკითხები იქნა განხილული და რომელ მხარეებთან ერთად
- განხილული სამოქმედო გეგმა
- როგორ მოგვარდა საკითხი

სად მივიღებთ დამატებით ინფორმაციას?



კოდექსის 270-ე განყოფილება ეხება ზეწოლას ძირითადი პრინციპების დარღვევის მიზნით. www.IESBAeCode.org-ზე თქვენ იხილავთ eCode-ს - ონლაინ რესურსს, რომელიც განკუთვნილია ბუღალტერთათათვის და ასევე კოდექსის სხვა მომხმარებლებისათვის. იგი იძლევა კოდექსზე სწრაფად და ეფექტურად წვდომის საშუალებას, რაც ამარტივებს მის მოხმარებასა და პრაქტიკაში დანერგვას/გამოყენებას.



ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) თანხმობით მის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული დოკუმენტი „ბესს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 10: ზეწოლა ეთიკის ძირითადი პრინციპების დარღვევის მიზნით“ ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ. IFAC-ის მიერ დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს მის მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი ვერსია. IFAC არ იღებს პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე ან მისგან გამომდინარე ნებისმიერ ქმედებაზე.

„ბესს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 10: ზეწოლა ეთიკის ძირითადი პრინციპების დარღვევის მიზნით“ - ინგლისურენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„ბესს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 10: ზეწოლა ეთიკის ძირითადი პრინციპების დარღვევის მიზნით“ - ქართულენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

სათაური ინგლისურ ენაზე: *Exploring the IESBA Code Installment 10 – Pressure to Breach the Fundamental Principle.*

წინამდებარე დოკუმენტის გავრცელების, შენახვისა და გადაცემის, ან ნებისმიერი სხვა სახით მისი გამოყენების თაობაზე დაუკავშირდით IFAC-ს: Permissions@ifac.org